

საინვესტიციო პროექტების შერჩევის ამოცანა მერყევ ფაზი გარემოში

ირინა ხუციშვილი

irina.khutsishvili@tsu.ge

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქ. 13, 0186 თბილისი, საქართველო

ნაშრომში განიხილება საინვესტიციო პროექტების შერჩევის ამოცანა მერყევ ფაზი გარემოში.

ამ ტიპის ამოცანები განეკუთვნება მრავალკრიტერიუმიანი ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების (MCGDM) ამოცანას. პროექტების შერჩევა ხდება შეწონილი კრიტერიუმების სიმრავლის მიხედვით საექსპერტო შეფასებების საფუძველზე, რომლებიც მოიცემა ექსპერტთა ჯგუფის მიერ ლიგვისტური თერმების სახით.

ნაშრომში შემოთავაზებული გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი მეთოდოლოგია ეფუძნება TOPSIS (დალაგების ტექნიკა იდეალურ გადაწყვეტილებასთან მსგავსების მიხედვით) მიდგომას მერყევ ფაზი გარემოში. განიხილება შემთხვევა, როდესაც კრიტერიუმების წონები უცნობია. წონების შეფასება კეთდება შენონის ენტროპიის გამოყენებით, განზოგადებული მერყევი ფაზი–სიმრავლისთვის.

პროექტების რანჟირება კეთდება როგორც ე.წ. ფაზი–დადებით იდეალურ (FPIS), ისე ფაზი–უარყოფით იდეალურ (FNIS) გადაწყვეტილებებთან მანძილის სიახლოვის მიხედვით. შემოთავაზებულ მეთოდოლოგიაში გამოიყენება შეწონილი ჰემინგის მანძილი მერყევი ფაზი–სიმრავლის კონტექსტში. განვითარებული მერყევი ფაზი–TOPSIS მეთოდის ილუსტრირების მიზნით ნაშრომში განიხილება პროექტების რანჟირების მაგალითი.

საკვანძო სიტყვები: საინვესტიციო პროექტების შერჩევა, შენონის ენტროპია, მერყევი ფაზი TOPSIS მიდგომა, პროექტების რანჟირება.